საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ბრძანება N 79

ქ. თბილისი

02/03/2017

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით განხორციელებული მიმდინარე შეკეთების, პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, მშენებლობის და სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის, ნაპირდაცვის შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებისათვის განსახორციელებელი აუცილებელი ღონისძიებებისა და აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 25 იანვრის №31 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით განხორციელებული მიმდინარე შეკეთების, პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის, მშენებლობის და სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის, ნაპირდაცვის შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებისათვის განსახორციელებელი აუცილებელი ღონისძიებებისა და აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 25 იანვრის №31 ბრძანებაში შეტანილ იქნეს დამატება და პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. ცალკეულ შემთხვევებში დეპარტამენტის თავმჯდომარის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შესაძლებელია ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართისაგან განსხვავებული ღონისძიებებისა და აღნიშნულის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა.“.

2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გიორგი სეთურიძე

დეპარტამენტის თავმჯდომარე

.